1973/2
3
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (395)

1973 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (395) დეკემბერი 1973 წელი


## შინაარსი

### განყოფილება პირველი


229. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლის კ. ი. ჩაგანავას გასაწვევად კენჭისყრის დანიშვნის შესახებ.

230. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების პ. გ. გელბახიანის და ნ. ს. ჯავახიძის გასაწვევად კენჭისყრის დანიშვნის შესახებ.

231. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქის დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ გეგეჭკორის რაიონის ზანძის № 319 საარჩევნო ოლქის დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

233. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ.

234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.

235. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მცხეთის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.


**საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები**


236. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

№ 12
ეროვნული ბიბლიოთეკა

237. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

238. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

239. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

240. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

241. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

242. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, შრომა-გასწორების და შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

243. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

244. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლების და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.

## განყოფილება მეორე

245. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ა. ი. ხაჩატურიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა.
1973 წლის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 229 აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლის კ. ი. ჩაგანავას გასაწვევად კენჭისყრის დანიშვნის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლის კ. ი. ჩაგანავას გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს კენჭისყრა აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლის კარლო ივანეს ძე ჩაგანავას გაწვევის შესახებ 1973 წლის 10 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 დეკემბერი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 230 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების პ. გ. გელბახიანის და ნ. ს. ჯავახიძის გასაწვევად კენჭისყრის დანიშვნის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების პ. გ. გელბახიანის (ქ. ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქი) და ნ. ს. ჯავახიძის (გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319 საარჩევნო ოლქი) გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს კენჭისყრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პეტრე გედევანის ძე გელბახიანის (ქ. ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქი) და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიკოლოზ სტეფანეს ძე ჯავახიძის (გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319 საარჩევნო ოლქი) გასაწვევად 1973 წლის 12 დეკემბრიდან 17 დეკემბრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 231 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქის დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის" მეშვიდე მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქის დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

**საოლქო კომისიის თავმჯდომარე:**

ვახტანგ დავითის ძე **ყაველაშვილი** — ზოდის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:**

ნარგიზ კალენიკეს ასული **გურჯიძე** — ხალიფაურის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

**საოლქო კომისიის მდივანი:**

ნათელა შალვას ასული **აბესაძე** — ზოდის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**საოლქო კომისიის წევრები:**

ზურაბ პეტრეს ძე **დათეშიძე** — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ზოდის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

პავლე პორფილეს ძე **კენჭოშვილი** — სარქველეთუბნის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ბიძინა სპირიდონის ძე **მოდებაძე** — რგანის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **ლულუნიშვილი** — ზოდის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჭაძე.**

თბილისი, 1973 წლის 11 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 232 საქართველოს სსრ გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319 საარჩევნო ოლქის დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის" მეშვიდე მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319 საარჩევნო ოლქის დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

**საოლქო კომისიის თავმჯდომარე:**

შალვა სერაპიონის ძე **დარახველიძე** — ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

**საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:**

აპოლონ რაჟდენის ძე **წოწონავა** — სოფელ აბედათის კოლმეურნეობა „შრომის სამეფოს" წევრებისაგან.

**საოლქო კომისიის მდივანი:**

შოთა გიორგის ძე **დანელია** — ბანძის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**საოლქო კომისიის წევრები:**

ეთერ სიმონის ასული **ქაჯაია** — ონოღიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

თვალჩინა ბებეს ასული **იმნაიშვილი** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სოფელ ნაჯახავოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ლუიზა ბოჩიას ასული **დანელია** — სოფელ ნაჯახავოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ელიკო იპოლიტეს ასული **ფანცულაია** — სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1973 წლის 11 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 233 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე მუდმივი კომისიების და დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებანი და შენიშვნები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1973 წლის 24 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 234 აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს აბაშის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1974 წლის 13 იანვარს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1973 წლის 25 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 235 მცხეთის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად, დაინიშნოს მცხეთის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1974 წლის 13 იანვარს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1973 წლის 28 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

## 236 სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ჟიული კალისტრატეს ძე შარტავას უფლებამოსილება, რომელიც არჩეულია 1973 წლის 16 დეკემბერს ქ. თბილისის კალინინის რაიონის რუსთაველის № 34 საარჩევნო ოლქში.

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი
## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

## 237 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმა.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

(მატება პროცენტობით 1973 წელთან შედარებით)

| | | |
|---|---|---|
| წარმოებული ეროვნული შემოსავალი | — | 7,8 პროცენტით |
| მრეწველობის პროდუქცია | — | 9 პროცენტით |

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის იმ დარგებში, რომლებისთვისაც სახსრები გამოეყოფა უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს | — 5 პროცენტით |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | — 0,6 პროცენტით |
| ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში | — 5,8 პროცენტით |
| მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან | — 13,5 პროცენტით |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა | — 9,5 პროცენტით |

**მუხლი 3.** გადიდდეს 1974 წელს 1973 წელთან შედარებით:

| | |
|---|---|
| რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე | — 5 პროცენტით |
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება | — 10,4 პროცენტით |
| ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელთა დაწესებულებებში | — 3 პროცენტით |
| მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში | — 11,3 პროცენტით |
| მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში | — 6,2 პროცენტით |
| სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე | — 6 პროცენტით |
| საავადმყოფო საწოლების რაოდენობა | — 2,9 პროცენტით |

**მუხლი 4.** უზრუნველყოფილ იქნას 1974 წელს საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემა რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში — 839 ათასი კვ. მ.

**მუხლი 5.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წელს განახორციელოს ღონისძიებანი მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა და „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესახებ" საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 6.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ ჩამოყალიბებული წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 238 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მიღებული შესწორებების გათვალისწინებით: სულ შემოსავლის ნაწილში 1.633.437 ათასი მანეთი, ხოლო გასავლის ნაწილში 1.633.437 ათასი მანეთი და გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1975 წლის 1 იანვრისათვის 60.200 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1.458.339 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად—მძიმე მრეწველობის, საშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 681.144 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საერთო საგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 881.516 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით — 173.000 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების შესანახად 26.623 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1974 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1.520.796 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.078.512 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 442,284 ათასი მანეთი და გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1975 წლის 1 იანვრისათვის 35.655 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1974 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1975 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 55.744,1 | 42.449,6 | 55.744,1 | 2.746 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 41.026,3 | 32 831,4 | 41.026,3 | 2.038 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 18.813,2 | 16.626,3 | 18 813,2 | 932 |
| 4. ქალაქი თბილისი | 147.457,6 | 99.426 6 | 147 457,6 | 4.412 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 19.932,3 | 12.833,6 | 19.932,3 | 976 |
| 6. ქალაქი ფოთი | 5.099,6 | 3.933,5 | 5.099,6 | 248 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 7.411,6 | 6.500,9 | 7.411,6 | 361 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 13.385,0 | 10.560,6 | 13.385,0 | 659 |
| 9. ქალაქი გორი | 5.545,2 | 3.769,4 | 5.545 2 | 274 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 4.655,9 | 4.194 8 | 4.655,9 | 231 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 5.028,1 | 4.324,5 | 5.028,1 | 249 |
| 12. აბაშის რაიონი | 3.096,3 | 2.735,3 | 3.096,3 | 153 |
| 13. ადიგენის რაიონი | 2.508,6 | 2.401,5 | 2.508,6 | 122 |
| 14. ამბროლაურის რაიონი | 3.121,5 | 2.858,9 | 3.121,5 | 154 |
| 15. ასპინძის რაიონი | 2.388,9 | 2.284,6 | 2 388,9 | 117 |

| | შემოსავალი | მათ შორის | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1975 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | | |
| 16. ახალქალაქის რაიონი | 5 972,6 | 5 547,3 | 5 972,6 | 296 |
| 17. ახალციხის რაიონი | 5 577,9 | 5 065,6 | 5 577,9 | 275 |
| 18. ახმეტის რაიონი | 4 342,5 | 3 958,6 | 4 342,5 | 215 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი | 4.287,8 | 4 076,8 | 4 287,8 | 213 |
| 20. ბოლნისის რაიონი | 5.439,2 | 5.155,9 | 5 439,2 | 270 |
| 21. ბორჯომის რაიონი | 3 982,7 | 3 377,0 | 3 982,7 | 196 |
| 22. გარდაბნის რაიონი | 7 808,3 | 6 576,3 | 7.808,3 | 389 |
| 23. გეგეჭკორის რაიონი | 5 014,3 | 4 695,6 | 5 014,3 | 248 |
| 24. გორის რაიონი | 6 022,4 | 5 591,9 | 6 022,4 | 300 |
| 25. გურჯაანის რაიონი | 5 901,1 | 5 003,5 | 5 901,1 | 292 |
| 26. დმანისის რაიონი | 4 117,2 | 3 880,0 | 4 117,2 | 204 |
| 27. დუშეთის რაიონი | 7.143,0 | 6 663,4 | 7.143,0 | 353 |
| 28. ვანის რაიონი | 3 823,9 | 3 389;3 | 3 823,9 | 189 |
| 29. ზესტაფონის რაიონი | 6.329,4 | 5 364,7 | 6.329,4 | 313 |
| 30. ზუგდიდის რაიონი | 6 589,3 | 5 828,5 | 6 589,3 | 328 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი | 3 823,9 | 3.167,7 | 3 823,9 | 189 |
| 32. თელავის რაიონი | 6 714,8 | 6 019,2 | 6 714,8 | 332 |
| 33. თერჯოლის რაიონი | 3.717,0 | 3 007,0 | 3 717,0 | 184 |
| 34. თიანეთის რაიონი | 2 813,8 | 2 627,0 | 2 813,8 | 138 |
| 35. კასპის რაიონი | 4 528,9 | 3 995,0 | 4 528,9 | 222 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი | 4 721,5 | 4 210,4 | 4 721,5 | 235 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი | 4 132,7 | 3 632,5 | 4 132,7 | 205 |
| 38. ლენტეხის რაიონი | 2 488,7 | 2 373,5 | 2 488,7 | 122 |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი | 3 356,8 | 3 017,2 | 3 356,8 | 166 |
| 40. მარნეულის რაიონი | 7 850,9 | 6 864,5 | 7 850,9 | 391 |
| 41. მახარაძის რაიონი | 7 202,3 | 6 263,6 | 7 202,3 | 358 |
| 42. მესტიის რაიონი | 3 115,2 | 3 045,9 | 3.115,2 | 153 |
| 43. მცხეთის რაიონი | 3 937,3 | 3 431,3 | 3.937,3 | 193 |
| 44. ონის რაიონი | 2 579,2 | 2 559,3 | 2 579,2 | 126 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი | 3 835,1 | 3 499,6 | 3 835,1 | 188 |
| 46. საგარეჯოს რაიონი | 3 543,6 | 3.229,0 | 3 543,6 | 175 |
| 47. სამტრედიის რაიონი | 5 104,8 | 4.190,3 | 5.104,8 | 253 |
| 48. საჩხერის რაიონი | 4 143,1 | 3 622,3 | 4 143,1 | 205 |
| 49. სიღნაღის რაიონი | 4.556,1 | 3 939,2 | 4.556,1 | 225 |
| 50. ქარელის რაიონი | 4 265,8 | 3.743,8 | 4 265,8 | 211 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 1 506,1 | 1 374,2 | 1 506,1 | 74 |
| 52. ყვარლის რაიონი | 4 003,4 | 3 579,4 | 4.003,4 | 198 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი | 3 250,9 | 3.025,3 | 3 250,9 | 161 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 3 895,3 | 3 671,6 | 3 895,3 | 193 |
| 55. ცაგერის რაიონი | 2 827,9 | 2 633,1 | 2 827,9 | 140 |
| 56. ცხაკაიას რაიონი | 5 044,6 | 4 363,2 | 5 044,6 | 250 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 4 212,8 | 3 917,8 | 4 212,8 | 208 |
| 58. წალკის რაიონი | 5 254,7 | 4 923,1 | 5 254,7 | 261 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 3 777,7 | 3 335,8 | 3 777,7 | 187 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 3 974,2 | 3 600,1 | 3 974,2 | 197 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 5 247,3 | 3 571,9 | 5 247,3 | 260 |
| 62. ხაშურის რაიონი | 4 542,6 | 3 545,7 | 4 542,6 | 224 |
| 63. ხობის რაიონი | 3.390,2 | 2.998,6 | 3 390,2 | 168 |
| სულ | 554.925,0 | 442.284,0 | 554.925,0 | 24.545 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1974 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის შენობების, საოჯახო ქონების და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა ინდივიდუალური დაზღვევის, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ანგარიშში მუშაკთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 100 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

| | ანარიცხების პროცენტები | | |
|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 20 | 91 | 58,2 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 41 | 62 | 61,5 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 100 | 100 | 73,3 |
| 4. ქალაქი თბილისი | 22 | 41 | 15,6 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 19 | 81 | 16,3 |
| 6. ქალაქი ფოთი | 100 | 100 | 44,0 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 50 | 100 | 97,6 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 86 | 100 | 75,9 |
| 9. ქალაქი გორი | 40 | 100 | 36,5 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 50 | 100 | 42,3 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 50 | 100 | 62,4 |
| 12. აბაშის რაიონი | 50 | 100 | 94,8 |
| 13. ადიგენის რაიონი | 100 | 100 | 91,3 |
| 14. ამბროლაურის რაიონი | 50 | 100 | 69,4 |
| 15. ასპინძის რაიონი | 100 | 100 | 73,1 |
| 16. ახალქალაქის რაიონი | 50 | 100 | 78,7 |
| 17. ახალციხის რაიონი | 50 | 100 | 56,9 |
| 18. ახმეტის რაიონი | 70 | 100 | 62,5 |
| 19. ბოგდანოვკის რაიონი | 50 | 100 | 75,0 |
| 20. ბოლნისის რაიონი | 50 | 100 | 76,0 |
| 21. ბორჯომის რაიონი | 50 | 100 | 14,5 |
| 22. გარდაბნის რაიონი | 20 | 100 | 25,2 |
| 23. გეგეჭკორის რაიონი | 50 | 100 | 73,4 |
| 24. გორის რაიონი | 50 | 100 | 15,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | | |
|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 25. გურჯაანის რაიონი | 50 | 100 | 92,8 |
| 26. დმანისის რაიონი | 60 | 100 | 70,2 |
| 27. დუშეთის რაიონი | 100 | 100 | 98,2 |
| 28. ვანის რაიონი | 50 | 100 | 35,7 |
| 29. ზესტაფონის რაიონი | 50 | 100 | 22,7 |
| 30. ზუგდიდის რაიონი | 60 | 100 | 83,1 |
| 31. თეთრიწყაროს რაიონი | 50 | 100 | 91,5 |
| 32. თელავის რაიონი | 50 | 100 | 54,5 |
| 33. თერჯოლის რაიონი | 50 | 100 | 41,8 |
| 34. თიანეთის რაიონი | 50 | 100 | 67,5 |
| 35. კასპის რაიონი | 50 | 100 | 21,6 |
| 36. ლაგოდეხის რაიონი | 50 | 100 | 26,7 |
| 37. ლანჩხუთის რაიონი | 50 | 100 | 56,1 |
| 38. ლენტეხის რაიონი | 100 | 100 | 75,3 |
| 39. მაიაკოვსკის რაიონი | 50 | 100 | 44,7 |
| 40. მარნეულის რაიონი | 50 | 100 | 17,3 |
| 41. მახარაძის რაიონი | 40 | 100 | 32,3 |
| 42. მესტიის რაიონი | 100 | 100 | 43,9 |
| 43. მცხეთის რაიონი | 50 | 100 | 91,6 |
| 44. ონის რაიონი | 50 | 100 | 76,7 |
| 45. ორჯონიკიძის რაიონი | 50 | 100 | 45,9 |
| 46. საგარეჯოს რაიონი | 50 | 100 | 44,4 |
| 47. სამტრედიის რაიონი | 30 | 100 | 12,3 |
| 48. საჩხერის რაიონი | 50 | 100 | 66,6 |
| 49. სიღნაღის რაიონი | 50 | 100 | 36,1 |
| 50. ქარელის რაიონი | 40 | 100 | 5,7 |
| 51. ყაზბეგის რაიონი | 100 | 100 | 5,8 |
| 52. ყვარლის რაიონი | 50 | 100 | 32,6 |
| 53. ჩოხატაურის რაიონი | 50 | 100 | 87,8 |
| 54. ჩხოროწყუს რაიონი | 50 | 100 | 79,7 |
| 55. ცაგერის რაიონი | 100 | 100 | 94,2 |
| 56. ცხაკაიას რაიონი | 50 | 100 | 14,3 |
| 57. წალენჯიხის რაიონი | 50 | 100 | 56,8 |
| 58. წალკის რაიონი | 100 | 100 | 63,3 |
| 59. წითელწყაროს რაიონი | 50 | 100 | 94,1 |
| 60. წულუკიძის რაიონი | 50 | 100 | 50,7 |
| 61. წყალტუბოს რაიონი | 50 | 100 | 32,7 |
| 62. ხაშურის რაიონი | 50 | 100 | 9,4 |
| 63. ხობის რაიონი | 50 | 100 | 72,7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 9.** გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებში (შემდგომში შრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

| | (პროცენტებში) |
|---|---|
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 21 |
| ქალაქი ჭიათურა | 27 |
| ქალაქი ტყიბული | 10 |
| აბაშის რაიონი | 16 |
| ადიგენის რაიონი | 33 |
| ამბროლაურის რაიონი | 19 |
| ასპინძის რაიონი | 40 |
| ახალქალაქის რაიონი | 15 |
| ახალციხის რაიონი | 22 |
| ახმეტის რაიონი | 20 |
| ბოგდანოვკის რაიონი | 20 |
| ბოლნისის რაიონი | 25 |
| ბორჯომის რაიონი | 15 |
| გარდაბნის რაიონი | 10 |
| გეგეჭკორის რაიონი | 22 |
| გორის რაიონი | 12 |
| გურჯაანის რაიონი | 5 |
| დმანისის რაიონი | 28 |
| დუშეთის რაიონი | 34 |
| ვანის რაიონი | 16 |
| ზესტაფონის რაიონი | 13 |
| ზუგდიდის რაიონი | 15 |
| თეთრიწყაროს რაიონი | 13 |
| თელავის რაიონი | 11 |
| თერჯოლის რაიონი | 12 |
| თიანეთის რაიონი | 15 |
| კასპის რაიონი | 6 |
| ლაგოდეხის რაიონი | 10 |

| | (პროცენტებში) |
|---|---|
| ლანჩხუთის რაიონი | 12 |
| ლენტეხის რაიონი | 45 |
| მაიაკოვსკის რაიონი | 20 |
| მარნეულის რაიონი | 10 |
| მახარაძის რაიონი | 5 |
| მესტიის რაიონი | 49 |
| მცხეთის რაიონი | 10 |
| ონის რაიონი | 22 |
| ორჯონიკიძის რაიონი | 18 |
| საგარეჯოს რაიონი | 13 |
| სამტრედიის რაიონი | 10 |
| საჩხერის რაიონი | 13 |
| სიღნაღის რაიონი | 8 |
| ქარელის რაიონი | 15 |
| ყაზბეგის რაიონი | 30 |
| ყვარლის რაიონი | 14 |
| ჩოხატაურის რაიონი | 17 |
| ჩხოროწყუს რაიონი | 25 |
| ცაგერის რაიონი | 24 |
| ცხაკაიას რაიონი | 12 |
| წალენჯიხის რაიონი | 20 |
| წალკის რაიონი | 23 |
| წითელწყაროს რაიონი | 9 |
| წულუკიძის რაიონი | 21 |
| წყალტუბოს რაიონი | 7 |
| ხაშურის რაიონი | 6 |
| ხობის რაიონი | 15 |

**მუხლი 10.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 239 საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 1.648.114 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 1.592.495 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 55.619 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

## კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 240 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1973 წლის 29 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;"

1973 წლის 29 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;"

1973 წლის 29 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**241** „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 26 ივლისის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

## კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**242** საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, შრომა-გასწორების და შრომის კანონთა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1973 წლის 13 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1973 წლის 29 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ“.

1973 წლის 29 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 233-ე მუხლის შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

### 243 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულება — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

12/196

## დადგენილება
## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

### 244 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის განთავისუფლების და დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1973 წლის 13 ივლისისა — „ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ";

1973 წლის 25 ივლისისა — „ამხ. გ. ს. ვაშაკიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ";

1973 წლის 28 ივლისისა — „ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ";

1973 წლის 7 აგვისტოსი — „ამხ. ი. შ. ზედგინიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ";

ეროვნული ბიბლიოთეკა

1973 წლის 7 აგვისტოსი — „ამხ. შ. ა. სალარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1973 წლის 7 აგვისტოსი — „ამხ. ა. ა. დვალიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1973 წლის 21 აგვისტოსი — „ამხ. გ. თ. დოლიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1973 წლის 21 აგვისტოსი — „ამხ. გ. პ. ზედგინიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1973 წლის 7 სექტემბრისა — „ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1973 წლის 7 სექტემბრისა — „ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1973 წლის 13 სექტემბრისა — „ამხ. მ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1973 წლის 13 ნოემბრისა — „ამხ. გ. გ. ვაშაძის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“;

1973 წლის 13 ნოემბრისა — „ამხ. დ. ე. სარიშვილის რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 19 დეკემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 245 სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ ა. ი. ხაჩატურიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხო არტისტი, კომპოზიტორი არამ ილიას ძე **ხაჩატურიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 11 დეკემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე განიხილა წითელწყაროს, ონის და დმანისის რაიონებში შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპთა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი და აღნიშნა, რომ აღნიშნულ რაიონებში გარკვეული მუშაობა ტარდება შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის დადგენილების შესასრულებლად. გასულ წელს წითელწყაროს რაიონული საბჭოს სესიამ და ონის რაიონული საბჭოს აღმასკომმა ამავე რაიონების საქალაქო და ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ (ჯაფარიძის, გამარჯვების, წითელწყაროს, სორის, შეუბნის და სხვ.) განიხილეს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, შრომის დისციპლინის და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის საკითხები.

კოლმეურნეობებში რეგულარულად იწვევენ საერთო ან რწმუნებულთა კრებებს, გამგეობების სხდომებს. ერთგვარად გაუმჯობესდა სარევიზიო კომისიების მუშაობა. მათი უმრავლესობა, წესდების შესაბამისად, პერიოდულად ამოწმებს კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას და შემოწმების შედეგებს ახსენებს საერთო კრებებს.

მეტი ყურადღება ეთმობა მიწათსარგებლობის კანონის დაცვას, მიმდინარე წელს ჩატარდა საკარმიდამო ნაკვეთების ხელახალი აზომვა და წესდებით დამტკიცებულ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხი განხილულია კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე.

შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის დაცვამ გარკვეულად ხელი შეუწყო ამ რაიონების კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმათა შესრულებას. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა 236,8 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა, ხორცისა — 122,5 პროცენტით; ონის რაიონის კოლმეურნეო-

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულეს — 120,2 პროცენტით, რძისა — 104,8 პროცენტით; დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა კარტოფილისა — 106 პროცენტით და სხვ.

ამასთან ერთად წითელწყაროს, ონის და დმანისის რაიონებში ადგილი აქვს შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების სერიოზულ დარღვევას. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა არ განახორციელეს ყველა საჭირო ღონისძიება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ონის რაიონის შეუბნის, გლოლის, უწერის კოლმეურნეობებში ხშირად საერთო კრებები ტარდება ქვორუმის დარღვევით.

არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეთა საერთო და რწმუნებულთა კრებებზე განსახილველ მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტენ გამგეობები, ხოლო ზოგჯერ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. მაგალითად, დმანისის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობამ მწყემსებს ჩამოაწერა საქონლის დანაკლისი. ასევე რწმუნებულთა კრების გარეშე აწარმოებს საქონლის ჩამოწერას წითელწყაროსა და დმანისის რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა.

ონის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიისა და გამგეობის წევრებიც კი აირჩიეს გამგეობის სხდომაზე. გამგეობის სხდომაზევე გადაწყვიტეს საკითხი როგორც კოლმეურნეობის წევრობიდან ზოგიერთი კოლმეურნის გათავისუფლების, ისე კოლმეურნეობის წევრებად მიღების შესახებ.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს კოლმეურნეთა უკანონო დაჯარიმების შემთხვევებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

სუსტად მუშაობს წითელწყაროს, ონის და დმანისის რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია. კომისიების წევრები ვერ ერკვევიან თავიანთ ფუნქციებში, მათ მუშაობას ფორმალური ხასიათი აქვს. ისინი არ ატარებენ მოულოდნელ რევიზიებს, საკონტროლო შემოწმებებს ფერმებსა და ბრიგადებში. არიან ისეთი კოლმეურნეობები (დმანისის რაიონი), სადაც სარევიზიო კომისიებს არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ.

მოუწესრიგებელია შრომის წიგნაკების წარმოება; კოლმეურნეობების უმრავლესობაში ბოლო სამი წელია შრომის წიგნაკები საერთოდ არ შეუვსიათ.

ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა; კოლმეურნეთა ნაწილი მონაწილეობას არ იღებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. 1973 წელს წითელწყაროს რაიონის 8020 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოიმუშავა 589 კოლმეურნემ, ონის რაიონში — 2046-დან 299 კოლმეურნემ, დმანისის რაიონში — 5194-დან 635 კოლმეურნემ. ამასთან ონისა და დმანისის რაიონების თითქმის არც ერთ კოლმეურნეობაში არასრულწლოვანი და მოხუცი კოლმეურნეებისათვის დაწესებული არა აქვთ კაცდღეების მინიმუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების პროკურორები არასაკმარის ზედამხედველობას უწევენ კოლმეურნეთა გამგეობების, საერთო და რწმუნებულთა კრებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებას.

დმანისის რაიონის არც ერთ ადგილობრივ საბჭოს არ განუხილავს შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის დადგენილების შესრულების საკითხი.

საკოლმეურნეო წესდების, შრომის დისციპლინის დაცვისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებს ნაკლებად იხილავენ აგრეთვე წითელწყაროს და ონის რაიონების სასოფლო საბჭოები. მათს შესწავლაში სუსტად არიან ჩაბმული სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

მიიღონ ზომები „შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის;

შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, თითოეული კოლმეურნის შრომითი აქტივობის ამაღლებით უზრუნველყონ კოლმეურნეობების მიერ საწარმოო გეგმების, სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულება;

დააწესონ მკაცრი კონტროლი მიწითსარგებლობის კანონმდებლობის და საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების დაცვასა და კოლმეურნეობების საკარმიდამო ფონდის გამოყენებაზე;

მოსთხოვონ კოლმეურნეობებს სრული წესრიგი იქონიონ კოლმეურნეობათა წევრების შრომის აღრიცხვასა და ერთიანი შრომის წიგნაკების წარმოებაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა გააძლიეროს კოლმეურნეობებისადმი კონტროლი შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის საქმეში.

რესპუბლიკის პროკურატურას და მის ადგილობრივ ორგანოებს რჩევა მიეცათ გააძლიერონ ზედამხედველობა კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საერთო კრებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა გააუმჯობესოს კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურების საქმე.

წითელწყაროს, ონის და დმანისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიეცათ დავალება ამ დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1974 წლის პირველი ნახევრის ბოლოს.

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

*   *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე განიხილა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების შესრულების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულმა საბჭოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, გარკვეული მუშაობა გასწიეს აღნიშნული ბრძანებულების შესასრულებლად.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე უფრო ხშირად იხილავენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს. საბჭოების უმრავლესობასთან შექმნილია ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, რომელთა ირგვლივ შემოკრებილია აქტივი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიმდინარე წელს განიხილა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ქრონიკულ ალკოჰოლიკთა მკურნალობის მდგომარეობის საკითხი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ აკრძალა ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობა წვრილი საცალო ვაჭრობის ქსელში, სასადილოებში, ბუფეტებსა და სხვა ობიექტებში, აგრეთვე 30 გრადუსზე მეტი სიმაგრის ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობა საავადმყოფოების, სანატორიუმების, საწარმოების, მშენებლობების, სასწავლებლების, საბავშვო დაწესებულებების მახლობლად მდებარე სავაჭრო ორგანიზაციებში. ალკოჰოლიანი სასმელების ხვედრითი წონა საერთო საქონელბრუნვაში 1973 წელს, 1970 წელთან შედარებით, 25,6 პროცენტიდან 22,3 პროცენტამდე შემცირდა.

რესპუბლიკაში 1973 წელს შემცირდა არყისა და არყის ნაწარმის გამოშვება 300,0 ათასი, ხოლო კონიაკისა — 130,0 ათასი დეკალიტრით. შეწყდა 50 და 56 გრადუსის სიმაგრის არყის გამოშვება.

რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა რამდენადმე გააქტიურეს თავიანთი მუშაობა ამ მიმართულებით. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა 1973 წლის 9 თვეში აღრიცხეს მართლწესრიგის დამრღვევ მთვრალ მოქალაქეთა დიდი რაოდენობა. დამატებით გაიხსნა სამედიცინო გამოსაფხიზლებლები გორსა და რუსთავში.

არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვის შემთხვევათა აღკვეთის მიზნით სისტემატურად ტარდება რეიდები.

სასამართლო და პროკურატურა, როგორც წესი, სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სიმთვრალეს უთითებენ როგორც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას, გაიზარდა აღნიშნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კატეგორიის საქმეთა გამსვლელ სესიებზე განხილვისა და კერძო განჩინებათა გამოტანის რიცხვი.

ამასთან ერთად, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით.

ყოველი მეოთხე-მეხუთე დანაშაული რესპუბლიკაში ჩადენილია სიმთვრალეში ან ლოთობის შედეგად, მათ შორის ისეთი საზოგადოებრივად საშიში დანაშაულებანი, როგორიცაა — მკვლელობა, ძარცვა, გაუპატიურება, ბოროტი ხულიგნობა და სხვა. ასევე სიმთვრალეშია ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობის თითქმის 95 პროცენტი.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ჯერ კიდევ ვერ დარაზმეს ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ლოთობასთან საბრძოლველად, ვერ უზრუნველყვეს მათი მუშაობის კოორდინაცია. სათანადო ყურადღება არ ექცევა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების შესწავლას, როგორიცაა ლოთობის გავრცელების მიზეზები, მშრომელთა თავისუფალი დროს შინაარსიანად გამოყენების, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის, შრომისა და დასვენების საკითხები და სხვა. სრულიად არადამაკმაყოფილებელია ამ საქმეში დეპუტატების, საბჭოების მუდმივი კომისიების, ამხანაგური სასამართლოებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობა. არასაკმარისად ეხმარებიან და აკონტროლებენ აღმასკომებთან არსებულ ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებს (მახარაძის, თელავის, ზესტაფონის რაიონები, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონი და სხვ). მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ზოგიერთ აღმასკომებთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი აღნიშნული კომისიები.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოები სოფლის ყრილობებზე, კოლმეურნეობებში, საწარმოებში, მშრომელთა კოლექტივებში არ იხილავენ „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, არ ატარებენ ქმედით ღონისძიებებს მავნე ზნე-ჩვეულებათა, რელიგიური დღესასწაულების, ქელეხების, ნათლობების და სხვა ხალხმრავალ წვეულებათა აღსაკვეთად.

სერიოზული დარღვევებია სავაჭრო ორგანიზაციებში; ადგილი აქვს მაგარი სპირტიანი სასმელების გაყიდვის შემთხვევებს იმ ობიექტებში, სადაც ეს აკრძალულია; სავაჭრო წერტების სახელწოდების შეცვლას არყისა და კონიაკის რეალიზაციის უფლების მოპოვებისათვის, მაგარი სასმელების გაყიდვას აკრძალულ საათებში და სხვ.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე მაგარი სპირტიანი სასმელებით ვაჭრობდნენ სამწვადესა და სახინკლეში, რომლებიც აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულოს რაიონში სპირტიანი სასმელებით ვაჭრობენ მაღაზიები, რომლებიც მდებარეობენ საავადმყოფოსა და სკოლასთან.

ანალოგიური დარღვევა იყო გამოვლენილი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ცხაკაიას რაიონის კურორტ მენჯის, თელავის რაიონის წინდების ფაბრიკისა და პროფტექნიკური სასწავლებლის მახლობლად მდებარე სასადილოებში.

ვაგრის რაიკოოპერატივის გამგეობამ მთელ რიგ სასადილოებსა და ბუფეტებს დაარქვა კაფე იმისათვის, რომ ევაჭრათ მაგარი სპირტიანი სასმელებით.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად არ იყენებენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს, სიმთვრალისათვის დაჯარიმების შესახებ არ აცნობებენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელობას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სხვ.; არ იკვლევენ არასრულწლოვანის სიმთვრალეში ჩათრევის კონკრეტულ ვითარებას, არ ავლენენ შინ გამოხდილი არყის რეალიზაციის ფაქტებს. მახარაძის რაიონის მილიციის რაიგანყოფილებამ შესაბამის ადმინისტრაციას თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აცნობა 1973 წლის 10 თვეში დაჯარიმებულთა მხოლოდ მცირე ნაწილის შესახებ, ამასთან ამ ოგრანიზაციებიდან მას არ მიუღია არც ერთი პასუხი განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

სამედიცინო გამოსაფხიზლებლების ადმინისტრაცია ასევე არ აცნობებს შესაბამის წარმოება-დაწესებულებებს იმ პირთა შესახებ, რომლებიც გამოსაფხიზლებლად იყვნენ მოყვანილი. ქუთაისის სამედიცინო გამოსაფხიზლებელმა გასული წლის მეორე ნახევარში შეტყობინება გაგზავნა მხოლოდ 13 პირის შესახებ.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ადგილობრივი ორგანოების წარდგინებები და კერძო განჩინებები ხშირ შემთხვევაში ატარებენ ზოგად ხასიათს. მათში არ არის აღნიშნული რა ვითარებაში ხდება სიმთვრალე და დანაშაული, არ არის ცნობები დამნაშავის პიროვნების შესახებ და, რაც მთავარია, არ არის მითითებული ღონისძიებანი რეციდივის თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნული კატეგორიის საქმეები არასაკმაო რაოდენობით იხილება გასვლელ სესიებზე, ძალზე მცირეა მათში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

სათანადო კონტროლი დააწესონ „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების შესრულებაზე.

პერიოდულად შეამოწმონ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა ქვემდგომ საბჭოებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაცვის და სავაჭრო ორგანიზაციებში, შეისწავლონ ლოთობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომშობი და ხელშემწყობი პირობები, გააანალიზონ გაწეული მუშაობა და შედეგები განიხილონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიების და აღმასკომების სხდომებზე;

უფრო ქმედითი დახმარება გაუწიონ ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებს, მიაღწიონ მათი მუშაობის გაუმჯობესებას, მოითხოვონ მათზე დაკისრებული ფუნქციების განუხრელი შესრულება. უზრუნველყონ ლოთობის წინააღმდეგ სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია;

მეტი ყურადღება მიაქციონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დაცვას. მიიღონ ზომები სავაჭრო ქსელში იმ ობიექტების დაუსაბუთებელი გაფართოების ალსაკვეთად, სადაც ჰყიდიან სპირტიან სასმელებს;

სოფლის აქტივის, ქუჩის კომიტეტების, სახლმმართველობების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით გააძლიერონ მუშაობა შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადებისა და გასაღებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მოთხოვნათა განუხრელად შესასრულებლად;

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მეტად ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა, სამეთვალყურეო და ადმინისტრაციული კომისიები, ამხანაგური სასამართლოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების, აგრეთვე რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ წარმომადგენელთა მონაწილეობით მშრომელთა კოლექტივებსა და მოსახლეობაში ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ალკოჰოლის მავნებლობაზე; საჯარო დაგმობის საგანი გახადონ ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო და წარსულის ისეთი გადმონაშთები, როგორიცაა: ქელეხი, ნათლობა, რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა და სხვ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი აღნიშნული ბრძანებულების ცხოვრებაში გასატარებლად, დროული რეაგირება მოახდინოს კანონის დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა უფრო ფართოდ განხორციელებას. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან ერთად მოაწესრიგონ სამკურნალო დაწესებულებებიდან დაბრუნებული ყოფილი ალკოჰოლიკების შრომაში ჩაბმისა და მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის საქმე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლოს რჩევა მიეცათ უზრუნველყონ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამსვლელ სესიებზე განხილვა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მეტი ყურადღება მიაქციონ ლოთობის ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემწყობი პირობების შესწავლას და მის საფუძველზე კერძო განჩინებებისა და წარდგინებების სათანადო ორგანოებში შეტანას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, დაევალა მეტი მუშაობა გასწიოს ქრონიკული ალკოჰოლიკების გამოსავლენად და სამკურნალო დაწესებულებებში მოსათავსებლად. მიიღოს ყველა ზომა მკურნალობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ სათანადო წესრიგი დაამყარონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის საქმეში. არ დაუშვან სპირტიანი სასმელების გაყიდვა აკრძალულ საათებსა და ადგილებში. მეტი ყურადღება მიაქციონ იმას, რომ სავაჭრო ობიექტებში სასმელები არ მიჰყიდონ არასრულწლოვანთ და მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირთ.

საქართველოს სსრ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოეთხოვათ მკვეთრად გააუმჯობესონ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების ხარისხი, კანონით დადგენილი ვადების ზუსტი დაცვით;

საქართველოს სსრ პროკურატურას მიეცა მითითება გააუმჯობესოს ზედამხედველობა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების შესრულებაზე.

ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ კომისიას დაევალა მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ შესაბამის კომისიებს, მათთვის 1974 წლის პირველ კვარტალში გაითვალისწინოს სემინარის ჩატარება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა განიხილოს საგარეჯოს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის მშენებლობის და მისი უახლოეს პერიოდში საექსპლუატაციოდ გადაცემის საკითხი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე განიხილა, დამნაშავეობასთან ბრძოლისა და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების მდგომარეობის შესახებ ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში და აღნიშნა, რომ ტყიბულის საქალაქო საბჭომ და მისდამი დაქვემდებარებულმა სასოფლო საბჭოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად, სახელმწიფო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად.

საქალაქო და სასოფლო საბჭოების სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე, სოფლის ყრილობებზე იხილავენ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. გაძლიერდა ბრძოლა მუქთახორობის, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და წარსულის სხვა მავნე გადმონაშთების წინააღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგ. თითქმის ყველა სასოფლო საბჭოს აღმასკომში წარმოებს მოქალაქეთა შორის მომხდარი კონფლიქტების აღრიცხვა და ზომების მიღება მათ სალიკვიდაციოდ. მეტი ყურადღება ექცევა მოსახლეობაში საბჭოთა კანონების განმარტებას და პროპაგანდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, საქალაქო და სასოფლო საბჭოებში განხილულია ქობულეთის რაიონის ხუცუბნის და გორის რაიონის ტყვიავის მშრომელთა მოწოდებანი საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების შესახებ.

მიუხედავად ამისა, ქალაქ ტყიბულში და მისდამი დაქვემდებარებული სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ ტარდება სათანადო ქმედითი ღონისძიებანი დანაშაულთა აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის.

საგრძნობლად მატულობს სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევები.

1973 წლის 11 თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევები გაიზარდა, მათ შორის, გახშირდა ისეთი ქონების გაფლანგვა-დატაცება, ძარცვა, ქურდობა, ხულიგნობა და სხვ.

რაიონში არასაკმარისად იბრძვიან ლოთობის, ალკოჰოლიზმის, მუქთახორობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ. 1973 წელს, 1972 წელთან შედარებით, იმატა ხულიგნობის შემთხვევებმა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის მილიციის ორგანოებში მიყვანილ მთვრალ მოქალაქეთა რიცხვმა.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში; ზოგიერთი კოლმეურნე საერთოდ არ მუშაობს ან გამომუშავებული არ აქვს კაცდღეების მინიმუმი.

მიუხედავად იმისა, რომ მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი სპირტიან სასმელებს ყიდულობს კერძო პირებისაგან და ადგილი აქვს სიმთვრალეში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს, ადგილობრივ საბჭოებსა და მილიციის ორგანოებს არ გამოუვლენიათ სპირტიანი სასმელების შინ გამოხდისა და რეალიზაციის არც ერთი ფაქტი.

ქალაქისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს არ გააჩნიათ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის ღონისძიებათა განხორციელების გეგმები.

სუსტად მუშაობენ ქალაქის საბჭოს ახალგაზრდობის, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, აგრეთვე აღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო და ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები; ისინი იშვიათად ატარებენ სხდომებს, იღებენ ზოგადი ხასიათის დადგენილებებს და, რაც მთავარია, არ ახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და მათი წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

მიმდინარე წელს, 1972 წელთან შედარებით, გაიზარდა არასრულწლოვანთა მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევათა რაოდენობა, იმატა დანაშაულში მონაწილეთა რიცხვმა.

№ 12
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და განათლების ორგანოების უყურადღებობის შედეგად ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვისა და გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის ფაქტებს, განსაკუთრებით საღამოს სკოლებში.

არ არის მოგვარებული ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა აღზრდა-გამოსწორების საქმე;

აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მუშაობა ძირითადად განისაზღვრება საშუალო სკოლებიდან მოსწავლეთა საღამოს სკოლებში გადაყვანის შესახებ განცხადებათა განხილვით, ხოლო დებულებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს კომისია თითქმის არ იხილავს.

წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები უგულებელყოფენ ამხანაგური სასამართლოების როლს სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ისინი გამოყენებული არ არიან მოქალაქეთა შორის კონფლიქტების და სხვა მცირე მნიშვნელობის გადაცდომათა აღსაკვეთად, მიუხედავად იმისა, რომ მართლწესრიგის ასეთი ხასიათის დარღვევის ფაქტები საკმარისად ხშირია.

საბჭოს ბევრი დეპუტატი თავის საარჩევნო ოლქში სათანადო ინიციატივას არ იჩენს და არ მონაწილეობს სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

სერიოზული ნაკლოვანებებია ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში. ჯერ კიდევ არასათანადო დონეზეა გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის ხარისხი, ყოველთვის არ წარმოებს დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების საფუძვლიანი შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში დასაბუთებული წარდგინებების და კერძო განჩინებების გამოტანა და სათანადო ორგანოებში გაგზავნა.

არის გაუხსნელი საქმეები, მათ შორის მძიმე დანაშაულთა საქმეებიც, მიმდინარე წლის 11 თვეში ჩადენილი ზოგიერთი სისხლის სამართლის დანაშაული გაუხსნელია.

ქალაქად და, განსაკუთრებით სოფლად საკმარისი რაოდენობით არ ტარდება ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები სამართლის საკითხებზე.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საპატიმრო ადგილებიდან გათავისუფლებულ პირთა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაავალა:

ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, სასოფლო საბჭოების მიხედვით, შეიმუშაოს სოციალისტური კანონიერების დაცვის, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული გეგმები, გახადონ ისინი საბჭოების მსჯელობის საგანი და მიიღოს ზომები მათ შესასრულებლად. ამასთან ამ საქმეში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საზოგადოების აქტივი;

სისტემატურად შეამოწმოს და განიხილოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე სასოფლო საბჭოების აღმასკომების და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელთა მიერ ჩატარებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მუშაობის საკითხები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლოთობის, მუქთახორობის და წარსულის სხვა მავნე გადმონაშთების აღსაკვეთ ღონისძიებების გატარებას;

მეტი დახმარება გაუწიოს ამხანაგური სასამართლოების, სახალხო რაზმეულებს, უბნისა და ქუჩის კომიტეტებს, სისტემატურად გაანალიზოს და განაზოგადოს მათი მუშაობა და ყოველმხრივ აამაღლოს მათი როლი საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში;

უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა აღრიცხვა და მათი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში დროულად ჩაბმა;

მიიღოს გადამჭრელი ზომები არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის და სამართალდარღვევის შემთხვევების აღკვეთისათვის;

უახლოეს დროში უზრუნველყოს სკოლიდან განთესილ ბავშვთა სწავლებაში ჩაბმა, ძნელად აღსაზრდელ არასრულწლოვანთათვის საზოგადოებრივი აღმზრდელების, პედაგოგ-ორგანიზატორთა დანიშვნა და მათზე კონტროლის დაწესება;

საზოგადოება „ცოდნის" ლექტორების, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკების მონაწილეობით, პრესისა და რადიოს საშუალებით გააუმჯობესოს მუშაობა მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად, პარტიისა და მთავრობის ცალკეული დადგენილების, კანონების და სხვა ნორმატული აქტების გასაცნობად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და რესპუბლიკის პროკურატურას მიეცათ მითითება გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისადმი, ღრმად ჩაწვდნენ მათს საქმიანობას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, გააძლიერონ მომთხოვნელობა თითოეული მუშაკის მიმართ და აღმოუჩინონ მათ ქმედითი დახმარება.

მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დავალება მიეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1974 წლის 1 ივლისისათვის წარუდგინოს ანგარიში აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აღნიშნულ სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომლითაც დააკმაყოფილა შუამდგომლობა ე. ნ. მამაცაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების ჩამორთმევის შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მსჯავრდებულია მძიმე დანაშაულისათვის, და გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 18 ივნისის ბრძანებულება იმ ნაწილში, რომელიც ეხება ერასტი ნიკოლოზის ძე მამაცაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 144 მრავალშვილიანი დედა. მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ახალქალაქის | რაიონიდან | 8 |
| დმანისის | „ | 58 |
| საგარეჯოს | „ | 49 |
| ქარელის | „ | 17 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 12 |